შეხვედრის ოქმი

(CIF & MoH)

თარიღი: 17.06.20.
პროექტის დასახელება: UNDP
პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია : საერთაშორისო ფონდი კურაციო

მონაწილეები:

1. თამარ გაბუნია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
2. ქეთი გოგინაშვილი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
3. ლია თავაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
4. ზაალ კაპანაძე - სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო
5. კახაბერ ღიბრაძე - სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო
6. კახაბერ შალიკაძე - სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო
7. თამარ გოცაძე - საერთაშორისო ფონდი კურაციო
8. ქეთი გოგუაძე - საერთაშორისო ფონდი კურაციო
9. ანო ახვლედიანი - საერთაშორისო ფონდი კურაციო

შეხვედრის დღის წესრიგი

- კურაციოს ხედვა/მიდგომა პროექტის განხორციელებისადმი
- კურაციოსა და რეგულირების სააგენტოს თანამშრომლობა პროექტის ფარგლებში
- შემდეგი ნაბიჯები

- შეხვედრის დასაწყისში პროექტის მეორე კომპონენტის გუნდის ლიდერმა, თამარ გოცაძემ, შეკრებილ საზოგადოებას გააცნო პროექტის მიზნები (კოვიდ19-ის მართვის ხარისხის შესწავლა).
- პროექტის მიზანია შეიქმნას ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც მომავალშიც იქნება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოყენებული
- პროექტის ფარგლებში მომზადდება ორი დოკუმენტი:
    - მეთოდოლოგიური რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა წარიმართოს სამედიცინო მომსახურების ხარისხის მონიტორინგი სამედიცინო ისტორიების კლინიკური აუდიტის მექანიზმის გამოყენებით; აღნიშნული მეთოდოლოგიური რეკომენდაციების დოკუმენტს სამომავლოდ სამინისტრო გამოიყენებს არამხოლოდ კოვიდ 19 -ის, არამედ სხვა ნოზოლოგიებისთვის
    - კოვიდ19-ის შემთხვევების კლინიკური აუდიტი დაგვეხმარება, გავაუმჯობესოთ კოვიდ19-ის მკურნალობაში ჩართულ დაწესებულებებში პაციენტების კლინიკური მართვა და ჩამოვაყალიბოთ რეკომენდაციები, თუ რამდენად სწორად მოხდა კლინიკური შემთხვევების მართვა. იმ შემთხვევაში თუ ეროვნულ გაიდლაინს/პროტოკოლს აქვს გარკვეული ხარვეზები, კონკრეტული რეკომენდაციები ჩამოყალიბდება მის გასაუმჯობესებლად.

სასურველია რეგულირების სააგენტომ გამოყოს საკონტაქტო პირი, რომელთანაც კურაციოს ექნება კომუნიკაცია.

- ჯანდაცვის სამინისტროს მოლოდინია შემთხვევების შეფასების შემდგომ უკუკავშირის მექანიზმის მოფიქრება
- გამომდინარე იქიდან, რომ რეგულირების სააგენტოს მისი დებულებისა და ნორმატიული აქტების მიხედვით გააჩნიათ ხარისხის უზრუნველყოფის დამსჯელობითი/მაკონტროლებელი ფუნქცია (ნაცვლად დამხმარე ფუნქციისა, რაც საჭიროა ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისათვის), თამარ გაბუნიას რეკომენდაციით გადაწყდა, რომ პროექტის ფარგლებში საერთაშორისო ფონდი კურაციო რეგულირების სააგენტოს ნაცვლად, ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტთან გააგრძელებს თანამშრომლობას.
- ზემოთქმულიდან გამომდინარე პროექტის ფარგლებში მუშაობა გაგრძელდება ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტთან, ხოლო პროექტის ფარგლებში შექმნილი მეთოდოლოგია საბოლოოდ სად დაბინავდება ჯანდაცვის სამინისტრო გადაწყვეტს.

Action points from this meeting:

#	Action	Due Date	Responsible	Status (C=completed; H= on hold; P=in progress; CL= cancelled)
1.	ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტთან შეხვედრის დანიშვნა	18.06.20.	ქეთი გოგინაშვილი	C
2.	ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტთან შეხვედრა	19.06.20.	ყველა	C

მოამზადა : ანო ახვლედიანი
თარიღი : 23.06.20.